საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ბრძანება №01-11/4

ქ. ბათუმი 16 იანვარი, 2013 წ.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამოყენების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 25 აპრილის №01-11/31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისიტეტის წესდების მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამოყენების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 25 აპრილის №01-11/31 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება. კერძოდ კი, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (ეზოში, შენობების დერეფნებში და ბიბლიოთეკაში) უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნეს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა მუდმივად, აუდიო ჩაწერის გარეშე.

2. ამ ბრძანების აღსრულება უზრუნველყონ უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის თანამშრომლებმა, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52)
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ედიშერ ჩავლეიშვილი